იჯარის ხელშეკრულება

ერთის მხრივ სს **"პროკრედიტ ბანკი"** (შემდგომში "მოიჯარე" ან/და "ბანკი") წარმოდგენილი მისი დირექტორების: **ალექსი მატუას (პირადი № 19001003556) და ქეთევან ხუსკივაძის** (პირადი №01019006029) სახით
და
მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „გუდალი"** (შემდგომში "მეიჯარე"), საიდენტიფიკაციო კოდი: ს.კ. 202180237, წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა პაპინაშვილის (პირადი № 01011010491) სახით
ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

ნაწილი I.
მხარეებისა და გარიგების საგნის შესახებ

მუხლი 1. მხარეებისა და ტერმინების შესახებ
1. წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

ა) მოიჯარე:
სს "პროკრედიტ ბანკი".
მდებარე: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 21-ში
მარეგისტრირებელი ორგანო: ვაკის რაიონის სასამართლო
რეგისტრაციის ნომერი: 5/5-84
ეროვნული ბანკის ლიცენზია № 233
საგადასახადო კოდი 204851197

წარმომადგენლობა: ალექსი მატუა, ქეთევან ხუსკივაძე

ბ) მეიჯარე: შ.პ.ს. „გუდალი"
წარმომადგენლობა თამაზი შაკიაშვილი

2. წინამდებარე აქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. **იჯარის საგანი**: შ.პ.ს. „გუდალის" საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ნივთი, მდებარე: მდ: თბილისი, წერეთლის გამზირი1-ში, მაღაზია 50-ში ფართი განთავსებულ 2 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.13.07.020.034.

იჯარის საგანი მოცემულია „პროკრედიტ ბანკის" ბანკომატის მოწყობის პროექტში, რომელიც თან ახლავს წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

ბ) საიჯარო ქირა - ფულადი თანხა, რომელსაც წინამდებარე აქტით დადგენილი ოდენობითა და წესით ბანკი უხდის მეიჯარეს იჯარის საგნით სარგებლობის სანაცვლოდ;

გ) მეიჯარე – შ.პ.ს. „გუდალი" კობა პაპინაშვილი

AUTHORIZED BY LEGAL DEPARTMENT of ProCredit Bank № 2 page(s) signature

დ) მხარე - მოიჯარე ან ბანკი კონტექსტის შესაბამისად;

ე) მხარეები - მეიჯარე და ბანკი ერთდროულად

ვ) მესამე პირი - ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, მხარეების გარდა

3. წინამდებარე აქტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი მნიშვნელობა

მუხლი 2. გარიგების საგანი

2. მეიჯარე გადასცემს ბანკს 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით იჯარის საგანს, მდ: თბილისი, წერეთლის გამზირი1-ში, მაღაზია 50-ში ფართი განთავსებულ 2 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.13.07.020.034.

ბანკი უხდის მეიჯარეს იჯარის ქირას მე-7 და მე-8 მუხლში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. იჯარის საგნით სარგებლობის მიზნების შესახებ

1. ბანკის მხრიდან იჯარის საგნით სარგებლობის მიზანია სს "პროკრედიტ ბანკი"-ს ბანკომატის მოწყობა-ფუნქციონირება.
2. ბანკის მიზანი იჯარის საგნის გამოყენების შესახებ ცნობილია მეიჯარისათვის, მისი წარმოამდგენისთვის და იგი აცხადებს თანხმობას;
3. ხელშეკრულების საფუძველზე, მეიჯარე თანახმაა, ბანკმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საიჯარო ფართზე მიმდინარე და სარეკონსტრუქციო სახის სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ასეთი სამუშაოების ჩატარება აღარ საჭიროებს დამატებით ნებართვას მეიჯარის მხრიდან. სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო ყველა სახის ლიცენზიებსა და ნებართვებს მოიპოვებს ბანკი.
4. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე თანახმაა, ბანკმა საკუთარი ხარჯებით განათავსოს შენობაზე და ბანკომატის თავზე რეკლამები, რაზედაც მესაკუთრის განმეორებითი თანხმობა აღარ იქნება საჭირო.

ნაწილი II.
იჯარის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლოების შესახებ

მუხლი 4. უფლებრივად უნაკლო იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

1. იჯარის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მეიჯარეს, რაც შემოწმებულია და დადასტურებულია საჯარო რეესტრიდან გაცემული ამონაწერით.

2. იჯარის საგანს არ ადევს ყადაღა და არ არის დატვირთული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლებით, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

AUTHORIZED BY LEGAL DEPARTMENT of ProCredit Bank № 2 page(s) signature

3. მეიჯარის განცხადებით, მარტივი წერილობითი ან ზეპირი გარიგებით მესამე პირისათვის იჯარის საგანი არ არის გადაცემული სარგებლობის (ქირავნობის, იჯარის ან სხვა მსგავსი ხასიათის) უფლებით;

მუხლი 5. ნივთობრივად უნაკლო იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

1. მეიჯარის განცხადებით:
   ა) იჯარის საგანს არ აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რისი არსებობაც შეამცირებდა იჯარის საგნის ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა იჯარის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას;
   ბ) მეიჯარემ ბანკის კეთილსინდისიერებით სრულად გააცნო იჯარის საგნის მდგომარეობა გადაცემის მომენტისათვის;
2. ბანკის განცხადებით:
   ა) მისთვის ცნობილია იჯარის საგნის მდგომარეობა და მისაღებია იჯარის საგნის ხარისხი, იმ სახით, რა სახითაც იჯარის საგანი არსებობს წინამდებარე აქტის გაფორმებისას;

მუხლი 6. იჯარის საგნის უფლებრივი და/ან ნივთობრივი ნაკლის აღმოჩენის სამართლებრივი შედეგები.

1. თუ კი იჯარის საგანს აღმოაჩნდება დაფარული ნაკლი, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მხარეთათვის არ შეიძლება ყოფილიყო ცნობილი, ბანკი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეიჯარეს. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი გამოთქვამს რაიმე უფლებრივ პრეტენზიას; მეიჯარე ვალდებულია თავისი ხარჯით აღმოფხვრას იჯარის საგნის ნაკლი, თუ ეს ნაკლი წარმოიშვა მისი ბრალეულობით.
2. თუ მეიჯარე დააყოვნებს ნაკლის გამოსწორებას, ბანკი უფლებამოსილია თავისი ხარჯით აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრის მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

ნაწილი III.
საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს შესახებ

მუხლი 7. საიჯარო ქირის ოდენობა

- მხარეთა შეთანხმებით, ყოველთვიური საიჯარო ქირა ყველა გადასახადის (მათ შორის ყველა კომუნალურის) ჩათვლით, შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) აშშ დოლარს, ექვივალენტი ლარის ოდენობით.
- აღნიშნულ თანხაში შედის კომუნალური, ელექტროენერგიისა და სხვა ყველა გადასახადი დღგ-ს ჩათვლით, თუკი ასეთის გადამხდელია მეიჯარე.
- გადახდა უნდა მოხდეს ყოველი თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისთვის. გადახდა წარმოებს გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშწორების წესით.

მუხლი 8. საიჯარო ქირის გადახდის წესების შესახებ

1. იმ შემთხვევაში, თუ იჯარის საგნის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის გამო, რომელიც გამომდინარეობს მესაკუთრის ბრალეულობით, ბანკი დაკარგავს სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობას, იგი

AUTHORIZED
BY LEGAL DEPARTMENT
of ProCredit Bank
№
20
page(s)
signature

გათავისუფლდება იჯარის ქირის გადახდის ვალდებულებისაგან იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მას არა აქვს იჯარის საგნით სარგებლობის საშუალება. თუ ბანკს იჯარის საგნით სარგებლობაში დაბრკოლება შეექმნება თავისივე ბრალეული ქმედებით, იგი არ გათავისუფლდება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან;

მუხლი 9. საიჯარო ქირის შეცვლის საფუძვლები და პირობები

1. საიჯარო ქირა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით და ძალაში შედის მხოლოდ იგივე ფორმის დაცვის შემთხვევაში, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმება.
2. საიჯარო ქირის ოდენობა არ დაექვემდებარება ცვლილებას მიუხედავად იმისა, მეიჯარე არის თუ არა დღგ-ს გადამხდელი.

ნაწილი IV.
მხარეთა უფლება-მოვალეობანი და იჯარის საგნის მოვლის ვალდებულებათა შესახებ

მუხლი 10. ბანკის საერთო ვალდებულებანი

1. გადაიხადოს საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 და მე-8 მუხლით დადგენილი წესით:
2. გაუფრთხილდეს იჯარის საგანს და უზრუნველყოს მისი მოვლა-პატრონობა;
3. უზრუნველყოს იჯარის საგნის მიმდინარე რემონტის ჩატარება საკუთარი ხარჯებით.
4. მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობის მიმართულების შეცვლა
5. ბანკი ვალდებულია შეუნარჩუნოს იჯარის საგანს ქუჩის მხრიდან შესასვლელი.

მუხლი 11. მეიჯარის საერთო ვალდებულებანი

1. გაუწიოს ბანკს საკონსულტაციო და ყველა სხვა სახის დახმარება საიჯარო ქონების ეფექტურად გამოყენებისათვის.
2. მეიჯარე ვალდებულია იჯარის ვადის განმავლობაში დაფაროს ელექტროენერგიის მთლიანი ღირებულება, რაც გამოყენებულ იქნება ბანკომატის საქმიანობიდან გამომდინარე.
3. ფართის გადაცემამდე გადაიხადოს ამ ფართზე დარიცხული ყველა სახის (კომუნალური) გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია, იჯარის გადასახადიდან გამოქვითოს აღნიშნული გადასახადები.
4. თავისი მიზეზით არ დაუშვას ბანკის მიერ იჯარის ფართით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.
5. საიჯარო ურთიერთობის პერიოდში მეიჯარე თავადაა ვალდებული აწარმოოს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან საიჯარო ქირის სახით მიღებული შემოსავლიდან.

მუხლი 12. პირგასამტეხლო

1. ბანკის მიერ მე-10 მუხლში აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია დააკისროს ხოლო ბანკი ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარს პირგასამტეხლო (საურავი) დარღვეული

AUTHORIZED BY LEGAL DEPARTMENT of ProCredit Bank № page(s) signature 2

ვალდებულების მატერიალური ღირებულების 0,5 % პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2. მეიჯარეს მხრიდან მე-11 მუხლში აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო მეიჯარე ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო (საურავი) დარღვეული

ვალდებულების მატერიალური ღირებულების 0,5 % პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 13. მეიჯარის უფლებები

1. მეიჯარე უფლებამოსილია შეამოწმოს იჯარის საგნის მდგომარეობა;
2. მეიჯარის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები ისე უნდა განხორციელდეს, რომ გამოირიცხოს ბანკისათვის იჯარის საგნით სარგებლობის ხელის შეშლა, აგრეთვე ბანკის კომერციული საიდუმლოების დარღვევა.

მუხლი 14. ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება

1. მეიჯარე ვალდებულია ითმინოს იჯარის საგნის მიმართ ბანკის მიერ გატარებული ზემოქმედებანი, რაც აუცილებელია იჯარის საგნის მიმართ თავისი უფლებების, ვალდებულებებისა და საქმიანობის განსახორციელებლად;

მუხლი 15. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

1. მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ზარალი, რაც გამოწვეული იქნება ამ ხელშეკრულების პუნქტების დარღვევის შედეგად;

ნაწილი V.
უფლებამონაცვლეობის შესახებ

მუხლი 16. იჯარის საგნის გასხვისების შესახებ

1. იჯარის საგნის მესამე პირზე გასხვისების შემთხვევაში იჯარის საგნის ახალი მესაკუთრე ხდება მეიჯარის უფლებამონაცვლე იმ ურთიერთობაში, რომელიც არსებობს წინამდებარე აქტის საფუძველზე.
2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ საქართველოს კანონის ან სხვა მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ექსპროპრიაციის შემთხვევაში, იჯარის საგნის სრული ან ნაწილობრივი ექსპროპრიაციის შედეგად ბანკისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, ექსპროპრიაციის შედეგად მიღებული ანაზღაურებით, მითითებული კანონისა და ექსპროპრიაციის დროს მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 17. მხარეთა უფლებაუნარიანობის შეწყვეტის ან ქმედითუნარიანობის შეზღუდვის შედეგები

AUTHORIZED
BY LEGAL DEPARTMENT
of ProCredit Bank
№
page(s)
signature

1. მხარეთა უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარის უფლებამონაცვლე (მემკვიდრე) ხდება წინამდებარე აქტით დადგენილი საიჯარო ურთიერთობის მონაწილე;

მუხლი 18. იჯარის საგნის უპირატესი შესყიდვის უფლება

1. იჯარის საგნის გასხვისების შემთხვევაში ბანკი სარგებლობს იჯარის საგნის უპირატესი შესყიდვის უფლებით;
2. უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციისათვის მეიჯარე ვალდებულია ბანკის წერილობით აცნობოს ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები, მყიდველის ვინაობა, ნასყიდობის ფასი და გადახდის პირობები, აგრეთვე უფლების განხორციელების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს ოთხ დღეზე ნაკლები;
3. ბანკი ვალდებულია უფლების განხორციელების ვადის გასვლამდე წერილობით აცნობოს მეიჯარეს უფლების გამოყენების, ან უფლებაზე უარის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა უფლების გამოყენებაზე;

ნაწილი VI.
საიჯარო ურთიერთობის შესახებ

მუხლი 19. წინამდებარე აქტის მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ვადის სრულად ამოწურვამდე.
2. წინამდებარე აქტის მოქმედება წყდება:
   ა) წინამდებარე აქტის მოქმედების ვადის ამოწურვით;
   ბ) წინამდებარე აქტით განსაზღვრული მხარეთა ინიციატივით.
   გ) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში;

მუხლი 20. წინამდებარე აქტის მოქმედების ვადის შეწყვეტა მხარეთა ინიციატივით

1. ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე აქტის მოქმედება მეიჯარის 15 (თხუთმეტი) დღის წინასწარ გაფრთხილების ვადის დაცვის საფუძველზე;
2. მეიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია წინასწარ ერთი თვით ადრე წერილობით აცნობოს ბანკს ამის შესახებ და აუნაზღაუროს ბანკს სხვა ადგილზე გადასვლით გამოწვეული ხარჯი. ამ ხარჯებში იგულისხმება ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ახალ საიჯარო ფართში გადასვლასთან, ბანკომატის მოწყობასთან დაკავშირებული სარემონტო ხარჯები, ასევე ახალ საიჯარო ფართის გაზრდილი ჯამური საიჯარო ქირა, გაანგარიშებული წინამდებარე ხელშკერულების მოქმედბის ვადის გათვალისწინებით დარჩენილ საიჯარო თვეებზე. ახალი საიჯარო ფართი უნდა შეესაბამებოდეს იგივე საბაზრო-ეკონომიკურ ნიშნულს, რასაც მოიცავდა ძველი იჯარის საგანი.

მუხლი 21. იჯარის საგნის დაბრუნება

1. წინამდებარე აქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია იჯარის საგანი დაუბრუნოს მეიჯარეს. დაბრუნების შესახებ უნდა შედგეს მიღება-ჩაბარების აქტი;

AUTHORIZED
BY LEGAL DEPARTMENT
of ProCredit Bank
№ ... page(s)
signature

2. ბანკი ვალდებულია იჯარის საგანი დაუბრუნოს მეიჯარეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება საშუალო სანიტარულ/კოსმეტიკურ ნორმებს. იჯარის საგნის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება ბანკს არ წარმოექმნება.

ნაწილი VII.
დასკვნითი დებულებების შესახებ

მუხლი 22. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებანი

1. მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.
2. მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს წერილობითი ფორმით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობისა და მისი შემდგომი მოქმედებების შესახებ, ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 72 საათის განმავლობაში.
3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.
4. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ ხელშეკრულების გაუქმების ან მისი ფორს-მაჟორულ გარემოებებთან შემდგომი მისადაგების საკითხი.

მუხლი 23. დასკვნითი დებულებანი

1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენლისთვის, რწმუნებულისთვის, დამხმარე-მოსამსახურე და მუშაკისათვის.
3. ხელშეკრულების ნებისმიერი სახის ცვლილება, დამატება ან/და გაუქმება ძალაში შედის მხოლოდ მხარეთა ერთობლივი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მხოლოდ იგივე ფორმის დაცვით, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულების დადება.
4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლებების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
5. მხარეები მიმართავენ მთელს ძალისხმევას წარმოშობილი დავისა ან/და უთანხმოების მოლაპარაკებათა გზით გადაწყვეტის შესახებ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან ბათილობა არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას (სალვატორული მუხლი).
7. წინამდებარე აქტი შედგა ქართულ ენაზე, სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, თითოეული გადაეცემა მხარეებს.

მეიჯარე:

კობა პაპინაშვილი

მოიჯარე

ქეთევან ხუსკივაძე

ალექსი მატუა

AUTHORIZED
BY LEGAL DEPARTMENT
of ProCredit Bank
№
20
page(s)
signature

ცვლილებები იჯარის ხელშეკრულებაში

ქ. თბილისი 2015 წლის 30 მარტი

ერთის მხრივ, **სს "პროკრედიტ ბანკი"** (შემდგომში "მოიჯარე" ან/და "ბანკი"), საიდენტიფიკაციო კოდი: 204851197, წარმოდგენილნი მისი დირექტორების: ქეთევან ხუსკივაძის (პირადი №01019006029) **და** ასმუს როტნეს (პასპორტის № **207597344**) სახით სახით

და

მეორეს მხრივ, **შპს „გუდალი"** (შემდგომში „მეიჯარე"), ს.კ. 202180237, წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა პიპინაშვილი, პირადი №01011010491

შევთანხმდით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. **ხელშეკრულების საგანი:** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის შედგენილ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, რომელიც ეხება უძრავ ნივთს, მდ: თბილისი, წერეთლის გამზირი1-ში, მაღაზია 50-ში ფართი განთავსებულ 2 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.13.07.020.034.

2. **განხორციელებული ცვლილება**
შევიდეს ცვლილება მხარეებს შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების სამოქმედო ვადა განისაზღვროს 2016 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

3. **სხვა დებულებები**
3.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მათ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 1 აპრილიდან და მოქმედებს წინამდებარე ხელშკერულებაში მითითებული ვადის ამოწურვამდე.
3.3. ხელშეკრულების ყველა სხვა დანარჩენი პირობა უცვლელია და მოქმედებს მხარეთა შორის მათ მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.
3.4. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვინაიდან იჯარის ვადა შეადგენს 11 თვეს, აღნიშნული ხელშეკრულება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას არ ექვემდებარება.
3.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და გადაეცემა მხარეებს.

„მოიჯარე" **„მეიჯარე"**

ასმუს როტნე კობა პაპინაშვილი

ქეთევან ხუსკივაძე

AUTHORIZED BY LEGAL DEPARTMENT of ProCredit Bank № 2017 page(s) signature 2

უძრავი ქონების /არასაცხოვრებელი ფართის/ იჯარის ხელშეკრულება

შპს „გუდალი" – სს "პროკრედიტ ბანკი"

ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №1

-------. 04. 2014 წელი

AUTHORIZED
BY LEGAL DEPARTMENT
of ProCredit
№
signature

ი ჯ ა რ ი ს
ხელშეკრულება

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, **სს "პროკრედიტ ბანკი"** (შემდგომში "მოიჯარე" ან/და "ბანკი"), საიდენტიფიკაციო კოდი: 204851197, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ქეთევან ხუსკივაძის (პირადი №01019006029)** და **წარმომადგენლის თეა თაბაგარის** (პირადი № 01012012972) სახით
და
შპს „გუდალი" (ს/კ 202180237), მდებარე ქ. თბილისი წერეთლის გამზირი №1, წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა პაპინაშვილის პირადი №01011010491, სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც "მეიჯარე" / „მესაკუთრე"

ნაწილი I.
მხარეებისა და გარიგების საგნის შესახებ

მუხლი 1. მხარეებისა და ტერმინების შესახებ

1. წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

ა) ბანკი/მოიჯარე - სს "პროკრედიტ ბანკი".
მდებარე: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი 21
მარეგისტრირებელი ორგანო: ვაკის რაიონის სასამართლო
რეგისტრაციის ნომერი: 5/5-84
ეროვნული ბანკის ლიცენზია № 233
საგადასახადო კოდი 204851197

წარმომადგენელი: დირექტორი ქეთევან ხუსკივაძე

წარმომადგენელი: გაფართოებული მენეჯმენტთა წევრი: თეა თაბაგარი

ბ) მეიჯარე/მესაკუთრე შ.პ.ს. „გუდალი"

2. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **იჯარის საგანი**: თბილისი, წერეთლის გამზირი 1, მაღაზია №50; ფართი 2 კვ.მ ;

ქირავნობის საგანი საჯუთრების უფლებით ეკუთვნის შ.პ.ს. ,,გუდალს" რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2006 წლის 15 მარტს გაცემული ამონაწერით, მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი # 01.13.07.020.034.

ბ) **საიჯარო ქირა** - ფულადი თანხა, რომელსაც წინამდებარე აქტით დადგენილი ოდენობითა და წესით ბანკი უხდის მეიჯარეს იჯარის საგნით სარგებლობის სანაცვლოდ.

გ) **მხარე** - მეიჯარე ან ბანკი კონტექსტის შესაბამისად.

დ) **მხარეები** - მეიჯარე და ბანკი ერთდროულად.

ე) **მესამე პირი** - ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, მხარეების გარდა წინამდებარე აქტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი მნიშვნელობა.

AUTHORIZED
BY LEGAL DEPARTMENT
of ProCredit Bank

მუხლი 2. გარიგების საგანი

1. გარიგების საგანია მეიჯარის ვალდებულება ბანკს სარგებლობის უფლებით 2015 წლის 1 აპრილამდე გადასცეს ქ. თბილისში, წერეთლის №1 მდებარე მაღაზია 50-ში არსებული საიჯარო ფართს 2 (ორი) კვადრატული მეტრის ოდენობით. იჯარის საგნის ადგილმდებარეობის შესახებ მითითებულია დანართ ფოტომონტაჟზე, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2. ხელშეკრულების საგნის გადაცემასთან დაკავშირებით მხარეთა შორის შედგება მიღება-ჩაბარების აქტი.

მუხლი 3. იჯარის საგნით სარგებლობის მიზნების შესახებ

1. ბანკის მხრიდან იჯარის საგნით სარგებლობის მიზანია სს "პროკრედიტ ბანკის" ბანკომატის ფუნქციონირება.
2. ბანკის მიზანი, იჯარის საგნის გამოყენების შესახებ ცნობილია როგორც მესაკუთრისთვის, რაზედაც აცხადებს თანხმობას.
3. ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე თანახმაა, ბანკმა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საიჯარო ფართზე მიმდინარე და არეკონსტრუქციო სახის სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ასეთი სამუშაოების ჩატარება აღარ საჭიროებს დამატებით ნებართვას მეიჯარის მხრიდან. სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო ყველა სახის ლიცენზიებსა და ნებართვებს მოიპოვებს ბანკი.
4. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე თანახმაა ბანკმა საკუთარი ხარჯებით განათავსოს შენობაზე ბანკომატის მანიშნებელი რეკლამები.

ნაწილი II.
იჯარის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლოების შესახებ

მუხლი 4. უფლებრივად უნაკლო იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

1. მეიჯარის განცხადებით იჯარის საგანი სარგებლობის უფლებით ეკუთვნის მეიჯარეს.

2. მეიჯარის განცხადებით:
   ა) არ არსებობს მესამე პირი, რომელსაც წინამდებარე აქტის მოქმედების ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს რაიმე სამართლებრივად დასაბუთებული პრეტენზია იჯარის საგნის მიმართ;
   ბ) არ არის აღძრული სარჩელი მესამე პირის მიერ იჯარის საგანზე საკუთრების ან სხვა (მფლობელობის, სარგებლობის) უფლების მოპოვების მოთხოვნით;
3. მეიჯარის განცხადებით იჯარის საგანს არ ადევს ყადაღა.
   მეიჯარის განცხადებით, მარტივი წერილობითი ან ზეპირი გარიგებით მესამე პირისათვის იჯარის საგანი არ არის გადაცემული.

მუხლი 5. ნივთობრივად უნაკლო იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

1. მეიჯარის განცხადებით:
   ა) იჯარის საგანს არ აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რისი არსებობაც შეამცირებდა იჯარის საგნის ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა იჯარის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას;
   ასევე სრულად გააცნო ბანკს იჯარის საგნის მდგომარეობა გადაცემის მომენტისათვის, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების შესახებ) შესახებ.

2. ბანკის განცხადებით:
   ა) მისთვის ცნობილია იჯარის საგნის მდგომარეობა და მისადებია იჯარის საგნის ხარისხი, იმ სახით, რა სახითაც იჯარის საგანი არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას.

AUTHORIZED BY LEGAL DEPARTMENT of ProCredit

ნაწილი III.

საიჯარო ქირის ანაზღაურების შესახებ

მუხლი 5. საიჯარო ქირის ოდენობა

1. საიჯარო ქირის ყოველთვიური გადასახადი განისაზღვრება 250 აშშ დოლარის ოდენობით დღგ-ს, ყველა გადასახადის და ყველა ხარჯების ჩათვლით.
2. იჯარით მიღებული ქონებით სარგებლობისათვის ბანკი ყოველთვიურად იხდის საიჯარო ქირას უნაღდო ანგარიშსწორების წესით მეიჯარის ანგარიშზე:

სს „საქართველოს ბანკი“ ; ა/ა № **GE82BG0000000152510300**

3. მეიჯარე ქირის ღირებულებას მიიღებს ყოველთვიურად, არაუგვიანეს 15-25 რიცხვისა.
4. პირველი თვის იჯარის ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს იჯარის საგნის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 საბანკო დღის განმავლობაში.
5. საიჯარო ქირის ოდენობაში შედის, როგორც საიჯარო ფართის გამოყენებისათვის განსაზღვრული საზღაური, ასევე ბანკომატის მიერ მოხმარებული ელექტროენრგიის გადასახადი.
6. იჯარის ქირის გადასახადის გადახდა უნდა განხორციელდეს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული კურსის შესაბამისად.

მუხლი 6. საიჯარო ქირის გადახდის წესების შესახებ

მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ ანგარიშსწორება ურთიერთჩათვლის საფუძველზეც, ბანკის მიერ მეიჯარისათვის გაწეული სხვა სამუშაოს ღირებულების ხარჯზე.

მუხლი7. საიჯარო ქირის შეცვლის საფუძვლები და პირობები

საიჯარო ქირა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ძალაში შედის მხოლოდ იგივე ფორმის დაცვის შემთხვევაში, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულების დადება.

ნაწილი IV.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი და იჯარის საგნის მოვლის ვალდებულებათა შესახებ

მუხლი 8. ბანკის საერთო ვალდებულებანი

1. გადაიხადოს საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულების მე - 5 მუხლით დადგენილი წესით:
2. გაუფრთხილდეს იჯარის საგანს და უზრუნველყოს მისი მოვლა-პატრონობა.
3. მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობის მიმართულების შეცვლა ან ფართის ქვეიჯარით გადაცემა მესამე პირებზე.

მუხლი 9. მეიჯარის საერთო ვალდებულებანი

1. გადასცეს ბანკს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო იჯარის საგანი.
2. გაუწიოს ბანკს საკონსულტაციო და ყველა სხვა სახის დახმარება საიჯარო ქონების ეფექტურად გამოყენებისათვის.
3. შეუფერხებლად დაუშვას ბანკი საიჯარო ფართში. მისცეს საშუალება ბანკს, შეუფერხებლად ისარგებლოს საიჯარო ფართით; თავისი მიზეზით არ დაუშვას ბანკის მიერ ფართით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.
4. საიჯარო ურთიერთობის პერიოდში მეიჯარე თავად იღებს ბანკომატის მიერ მოხმარებული ელექტროენრგიის ხარჯებს.
5. მეიჯარე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს და ბანკს იჯარის საგნის (ბანკომატის) მართლსაწინააღმდეგო მოხმარების (დაზიანება, გატეხვა) მისთვის ცნობილი ყველა შემთხვევა.

AUTHORIZED BY LEGAL DEPARTMENT of ProCredit

6. თავისი მიზეზით არ დაუშვას ბანკის მიერ იჯარის ფართით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.
7. ყოველგვარი შიდა/კუთვნილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა მკაცრად იქნება დაცული და არ გამჟღავნდება პირდაპირი, ან არაპირდაპირი გზით მესამე მხარეზე. ამასთან, არ მოხდება ინფორმაციის გამოყენება *ინფორმაციის გამცემი მხარის* წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მიზნებისა.
8. წინამდებარე კონფიდენციალურობის დაცვის პირობების განზრახ დარღვევის შემთხვევაში, ბრალეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის მიყენებულ ყველა სახის ზიანზე (ფინანსური ზარალის ჩათვლით).
9. მეიჯარე პასუხს აგებს სამოქალაქო /ან სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, მოიჯარის საიდუმლო (კონფიდენციალური) ინფორმაციის გამჟღავნების გამო.
10. მეიჯარე ვალდებულია შეუნარჩუნოს იჯარის საგანს ქუჩის მხრიდან შესასვლელი.

მუხლი 10. პირგასამტეხლო

1. ბანკის მიერ მე-8 მუხლში აღნიშნული ვალდებულების დარღვევსას, ბანკი მეიჯარეს უხდის პირგასამტეხლოს (საურავს) გადასახდელი საიჯარო ქირის 1 % (ნული მთელი და ერთი მეათედი) პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა ხდება საიჯარო ქირის სრულ გადახდამდე.
2. მეიჯარეს მხრიდან ხელშეკრულებაში აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია მოსალოდნელი მოგების დაკარგვა, ან სხვა მატერიალური ზიანი, მეიჯარე ვალდებულია სრულიად აუნაზღაუროს ბანკს თავისი ბრალით მიყენებული ზარალი და გადაიხადოს პირგასამტეხლოს სახით ყოველვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ღირებულების 1 %.
3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, დარღვევათა აღმოფხვრის ვალდებულებისა ან ზიანის ანაზღაურებისაგან.

მუხლი 11. მეიჯარის უფლებები

1. მეიჯარე უფლებამოსილია შეამოწმოს იჯარის საგნის მდგომარეობა;
2. მეიჯარის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები ისე უნდა განხორციელდეს, რომ გამოირიცხოს ბანკისათვის იჯარის საგნით სარგებლობის ხელის შეშლა, აგრეთვე ბანკის კომერციული საიდუმლოების დარღვევა.

მუხლი 12. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ზარალი, რაც გამოწვეული იქნება ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად;

ნაწილი V.
უფლებამონაცვლეობის შესახებ

მუხლი 13. მხარეთა უფლებაუნარიანობის შეწყვეტის ან შეზღუდვის შედეგები

მხარეთა უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარის უფლებამონაცვლე (მემკვიდრე) ხდება წინამდებარე აქტით დადგენილი საიჯარო ურთიერთობის მონაწილე;

ნაწილი VI.
საიჯარო ურთიერთობის შესახებ

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 აპრილამდე.
2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება:

ა. წინამდებარე ხელშეკრულების განსაზღვრული მოქმედების ვადის ამოწურვით;
ბ. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში.
გ მხარეთა შეთანხმებით;
დ წინამდებარე ხელშკერულების 17-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 15. იჯარის ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლება

წინამდებარე ხელშეკრულების დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ ბანკს აქვს იჯარის საგნის ახალი ვადით იჯარის უფლებით მიღების უპირატესი უფლება.

მუხლი 16. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის შეწყვეტის (მოშლის) შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) მეიჯარის ინიციატივით დაიშვება თუ ბანკი: გააფორმებს ქვეიჯარის ხელშეკრულებას მესამე პირთან.

2. ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე აქტის მოქმედება. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა (მოშლა) ხდება ორი კვირით ადრე მეიჯარისათვის გაკეთებული ზეპირი ან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

3. ბანკის ინიციატივით, ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალსწინებული პირობით ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში იგი თავისუფლდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

4. მეიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია სამი თვით ადრე წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ და აუნაზღაუროს ბანკს მის მიერ საიჯარო ქონებაზე დახარჯული თანხა, მათ შორის რემონტის და სხვა ადგილზე გადასვლის ხარჯები.

მუხლი 17. იჯარის საგნის დაბრუნება

1. წინამდებარე აქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია იჯარის საგანი დაუბრუნოს მეიჯარეს.
2. ბანკი ვალდებულია იჯარის საგანი დაუბრუნოს მეიჯარეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება საშუალო სანიტარულ/კოსმეტიკურ ნორმებს. იჯარის საგნის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება ბანკს არ წარმოექმნება.
3. ბანკის საკუთრებაში არსებული საგნები (მათ შორის ბანკომატი) რჩება ბანკს.

ნაწილი VII.
დასკვნითი დებულებების შესახებ

მუხლი 18. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებანი

1. მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.

2. მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს წერილობითი ფორმით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების
წარმოშობისა და მისი შემდგომი მოქმედებების შესახებ, ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 72 საათის განმავლობაში.
3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.
4. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ ხელშეკრულების გაუქმების ან მისი ფორს-მაჟორულ გარემოებებთან შემდგომი მისადაგების საკითხი.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებანი

1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. წინამდებარე ხელშეკრულება აუქმებს მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან მიღებულ ყველა სახის შეთანხმებას, დამოუკიდებლად მისი ფორმისა.
3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენლისთვის, რწმუნებულისთვის, დამხმარე-მოსამსახურე და მუშაკისათვის.
4. ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება ძალაში შედის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მხოლოდ წერილობითი ფორმის დაცვით.
5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლებების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
6. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. ამ გზით ურთიერთ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება სასამართლოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად.
7. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან ბათილობა არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას.
8. წინამდებარე აქტი შედგა ქართულ ენაზე, ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მოიჯარე/„ბანკი"

ქეთევან ხუსკივაძე

თეა თაბაგარი

მეიჯარე /შ.პ.ს. „გუდალი"

კობა პაპინაშვილი


ლომბარდი
RAZER
N·Mobile
ჩვენი მობილური ტელეფონი
fly
0%
G&T ფეხსაცმელი
მთელი ოჯახისთვის
GT style
SKYLER NEW YORK
KSB
LG

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1245454

ნომერი: AR1214654

თარიღი : 25.04.2014

გაცემის თარიღი : 30.04.2014

გაცნობის თარიღი : 06.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 1 ;

ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097

ორგანიზაცია:
- სს პროკრედიტბაკნი კოდი: 204851197

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარბათის 7

ტელ.(+995 32) 272 22 22
ფაქს.(+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

არსებული შენობის ფასადზე ბანკომატის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზ. #1–ში, შპს "გუდალი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე ბანკომატის მოწყობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.13.07.020.034; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა, მესაკუთრის თანხმობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზ. #1–ში, შპს "გუდალი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე ბანკომატის მოწყობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7

ტელ.(+995 32) 272 22 22
ფაქს.(+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge